გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრამი

განვითარება და კეთილდღეობა

ნინო ჩიკვილაძე

განვითარება სოციუმში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რთული შინაარსის და მრავალწახნაგოვანი პროცესია, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს შეეხება. უმთავრეს პროცესად კი მიჩნეულია ეკონომიკური განვითარება. ამასთან იგი დამოკიდებულია ცხოვრების სხვა სფეროებზე და ასევე განაპირობებს მათ პროგრესულ ცვლილებებს.

განვითარებას სხვადასხვა პარამეტრებით ახასიათებენ და აფასებენ. კერძოდ, გამოიყენება განვითარების პროცესის ფაქტორების (წყაროების), პროცესის მიმდანარეობისა და შედეგების ინდიკატორები. ბოლო პერიოდში (გასული საუკუნის 90—იანი წლებიდან) გაეროს ეგიდით შემუშავებულია ქვეყნების განვითარების ინდიკატორთა მთელი სისტემა, რომელთა მიხედვით სხვადასხვა კუთხით რეგულარულად ფასდება მსოფლიოს ქვენების განვითარება. ეს ინდიკატორები ასახავს როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური ცხოვრების ძირითად მხარეებს (მოვლენებს). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპლექსური (კრებითი) ინდიკატორი – ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი (აპგი). იგი შემუშავებულია პაკისტანელი სწავლულის მაჰბუბ-ულ-ჰაკის — გაეროს ,,ადამიანის განვითარების შესახებ მოხსენების" პირველი გამოცემის მთავარი ავტორისა და ამარტი სენის ნაშრომების საფუძველზე.

აპგი იანგარიშება ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის და ჯანმრთელობის, ცოდნისა და ცხოვრების ღირსეული დონის ინდიკატორთა საფუძველზე.

სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას განსაზღვრავენ ადამიანთა დაბადებისას სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის წლების რაოდენობით, ცოდნის დონეს - სწავლის საშუალო ხანგრძლივობის და სწავლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლით, ცხოვრების ღირსეულ დონეს — მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) სიდიდის მაჩვენებლით ერთ მცხოვრებზე მსყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით აშშ დოლარებში. ბოლო პერიოდში შემოღებულია აპგი-ს განსაზღვრა უთანასწორობის კორექტირებული სიდიდის, ანუ სიკეთეთა განაწილების სამართლიანობის მონაცემების გათვალისწინებით.

ბოლოს განისაზღვრება აპგი, როგორც აღნიშნული ინდექსების საშუალო სიდიდე. ამ ინდექსის სიდიდის დონით შესაძლებელი ხდება დავახასიათოთ ქვეყნის განვითარების დონე. მისი დანამიკის ტენდენცია წლების მიხედვით ახასიათებს პროგრესს ან რეგრესს.

ასევე მნიშვნელოვან სიახლედ ითვლება გენდერული უთანასწორობის გათვალისწინება, რამდენადაც ქალთა და მამაკაცთა უფლებების თანასწორობა კაცობრიობის ცივილიზებული განვითარების საყურადღებო მომენტია. კერძოდ, აპგი—ში ჩაირთვება ქალთა პროდუქტული ჯანმრთელობისა და ქალთა ეკონომიკური აქტივობის ინდექსები, მამაკაცთა უფლებების და შესაძლებლობათა განვითარების ინდექსთან და მამაკაცთა ეკონომიკური აქტივობის ინდექსთან მიმართებით.

ქვეყნების განვითარების შეფასებისათვის ყურადღება მახვილდება აგრეთვე სიღარიბის მრავალგანზომილებიანი ინდექსის განსაზღვრაზე. ის ითვალისწინებს შემდეგ ძირითად პარამეტრებს: ადამიანთა ჯანმრთელობა, კვება, ბავშვთა სიკვდილიანობა, ცოდნა (სწავლების ხანგრძლივობა და ბავშვთა სწავლებაში ჩაბმა), ცხოვრების დონე (საკვებით, სითბოთი, წყლით უზრუნველყოფა, ელექტროენერგიით მომარეგება და სხვა.), რის საფუძველზე გამოითვლება საღარიბის კოეფიციენტი.

ქვეყნის განვითარების აღნიშნული მაჩვენებლები გაეროს მიერ 1990 წლიდან ქვეყნდება სპეციალურ ყოველწლიურ გამოცემაში ,,მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ". აღნიშნულ გამოცემაში მონაცემები დამუშავებულია მაღალი მეცნიერული პასუხისმგებლობით და მთლიანობაში საკმაოდ სრულ წარმოდგენას იძლევა ქვეყნების განვითარებაზე და ხალხთა კეთილდღეობაზე მსოფლიოში. ამასთან იგი მისაწვდომი და გასაგებია სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. ამიტომ ჩვენ მსჯელობისა და ცალკეული საკითხების განხილვისას აქ ამ გამოცემის მონაცემებს გამოვიყენებთ.

გარდა აღნიშნულისა, გაეროს მოხსენება და მსოფლიო ბანკის გამოცემები გვაწვდის განვითარების და კეთილდღეობის რიგ სხვა კონკრეტულ მახასიათებლებს, რომლებიც ფართო წარმოდგენას იძლევა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. მეცნიერულ ლიტერატურაში ასევე გამოიყენება საზოგადოების განვითარების რიგი სხვა მაჩვენებლები.[1]

განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროცესია საზოგადოების ცხოვრებაში, მაგრამ იგი არაა თვითმიზანი, არამედ ემსახურება ადამიანთა კეთილდღეობას, რაშიც გამოიხატება მისი აზრი და დანიშნულება.

კეთილდღეობა სოციალური მეცნიერებებისა და ეკონომიკური თეორიის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. განასხვავებენ საერთო კეთილდღეობას, ეკონომიკური კეთილდღეობას და სხვ. ეკონომიკური კეთილდღეობის თეორიას საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკურ მეცნიერების კლასიკოსთა - ა.სმითის, კ.მარქსისა და სხვათა შრომებში. იგი ჩამოყალიბდა ისეთ მეცნიერთა განსაკუთრებული ძალისხმევით, როგორებიცაა: ა.პიგუ, კ.ეროუ, მ.ლიტლი, ვ. პარეტო და სხვ..

ა. პიგუს მიხედვით, ეკონომიკური კეთილდღეება - ესაა საერთო კეთილდღეობის ნაწილი, რომელიც შეიძლება გამოვხატოთ ფულადი ფორმით[2]. მ. ლიტლი თვლის, რომ კეთილდღეობა ეთიკური შეფასებითი ცნებაა, რომელშიც აისახება ინდივიდთა მოსაზრება იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენს ცხოვრების პირობები მათთვის სიკეთეს და რამდენად იწვევს ეს პირობები ადამიანთა კმაყოფილებას.

ჩვენი მხრივ, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანთა საზოგადოების კეთილდღეობა გულისხმობს ცხოვრების ისეთ დონეს, როცა ადამიანები უზრუნველყოფილნი არიან საარსებო და განვითარებისთვის, ჯანსაღ მოთხოვნილებათა დაკმაყოფლებისთვის აუცილებელი მატერიალური და არამატერიალური პირობებით, ე.ი. არ არსებობს სიკეთეთა უკმარისობით გამოწვეული არასასიამოვნო განცდა.

[1] პროფესორი გიორგი მალაშხია თვლის, რომ გაეროს მიერ შემოთავაზებული და სხვა არსებული ინდიკატორები სრულყოფილად მაინც ვერ ასახავს ქვეყნების განვითარების შინაარს, განსაკუთრებით მის სოციალურ ასპექტებს, საზოგადოებრივ (ეკონომიკურ და სოციალურ) ურთიერთობებს, სამართლიანობის, თავისუფლების, უსაფრთხოების დონესა და სხვ., რაც მეტად მნიშვნელოვანია. გიორგი მალაშხია, საჭიროდ თვლის ამ ასპექტების გათვალისწინებას და შემოაქვს განვითარების ხარისხის ცნება და მაჩვენებლები, რაც ცლკე მსჯელობის საგანია. იხ. გ.მალაშხია განვითარების ფილოსოფიის ზოგიერთი სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები. ჟურნ. "სოციალური ეკონომიკა" № 3 2010.

[2] **А. Пигу.** Теория благосостояния. Перевод с англ. М., 1985

განვითარება და კეთილდღეობა მჭიდრო ურთიერთკავშირშია, რაც გამოიხატება მათი ურთიერთზემოქმედებით. არა მარტო განვითარება განაპირობებს კეთილდღეობას, არამედ კეთილდღეობა უკუგავლენას ახდენს განვითარებაზე, მისთვის აუცილებელ პირობებს ქმნის. განვითარებით იქმნება ადამიანებისთვის აუცილებელი დოვლათი მზარდი რაოდენობით და უფრო მაღალი ხარისხით, მათი გონივრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების, სულ უფრო შინაარსიანი და სრულყოლყოფილი ცხოვრების საშუალებები. ამასთან კეთილდღეობა ხელს უწყობს ადამიანის განვითარებას, მეცნიერების პროგრესს, რაც ეკონომიკური პროგრესის ძირითადი საფუძველია.

კაცობრიობამ განვითარებისა და კეთილდღეობის ამაღლების დიდი გზა გამოიარა. ეს ნათლად აისახება გაეროს მიერ გამოქვეყნებულ აპგი-ს მონაცემებში. მსოფლიო ქვეყნების განვითარება ერთნაირად როდი მიმდინარეობს. ამიტომ გაეროს მიერ ქვეყნები, აპგი-ს მიხედვით, დაყოფილია ოთხ ძირითად ჯგუფად: 1. აპგი -ს ძალიან მაღალი დონის მქონე, ე.ი. ძალიან განვითარებული ქვეყნები, 2. აპგი-ს მიხედვით მაღალი განვითარების ქვეყნები, 3. საშუალო განვითარების ქვეყნები, 4. დაბალი განვითარების ქვეყნები.

საერთო წარმოდგენისთვის ჩვენ დინამიკაში ავიღეთ თითოეული ჯგუფის ოთხ-ოთხი ქვეყნის, კერძოდ, ჯგუფში ერთი ყველაზე მაღალი დონის, ორი შუალედურ და ერთი ბოლო ადგილზე მყოფი ქვეყნის მონაცემები (ცხრილი 1). აქვეა უთანასწორობის მიხედვით კორექტირებული აპგი-ს და ეროვნული შემოსავლის (მშპ) მაჩვენებელი ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით პარიტეტული კურსის მიხედვით.

ცხრილი 1-ის მონაცემებიდან ნათლად ჩანს მსოფლიოს ქვეყნების მკვეთრი განსხვავება განვითარების დონით, რაც დაკავშირებულია შესაბამისი ქვეყნების ისტორიულ, ბუნებრივ, ეროვნულ განსხვავებებზე, განვითარების პირობათა თავისებურებებზე, რომელთა სრული და ღრმა ახსნა მეცნიერებაში ჯერ კიდევ არ არსებობს. უდავო კი ისაა, რომ ქვეყნების განვითარების ასე მკვეთრად განსხვავებული დონე კაცობრიობის ცხოვრების მეტად არასასურველი მოვლენაა. იგი დიდ წინააღმდეგობასა და პრობლემებს შეიცავს. მისი დაძლევისათვის ზრუნვა ჩვენი დროის ერთ-ერთი მწვავე გამოწვევაა.

ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ ადამიანათა კეთილდღეობის დონით, მსოფლიოს ქვეყნები ყოველგვარ ზომაზე მეტადაა ერთმანეთს დაცილებული, კერძოდ, კეთილდღეობის დონე ქვეყნების ერთ ნაწილში ძალიან მაღალია, მეორე ნაწილში - მაღალი, მესამეში - საშუალო და მეოთხეში - მეტად დაბალი. ეს ნიშნავს, რომ მსოფლიოში ადამი-

ცხრილი 1.

ადამიანთა პოტენციალის განვითარების ინდექსის (აპგი) ტენდენციები

ქვეყნები	1980	1990	1995	2005	2010	კორექტირებული*აპგი 2010 წელს	ეროვნული შემოსავალი ერთ მცხოვრებზე 2010 წ. ა შ შ დოლ
აპგი-ს ძალიან მაღალი დონით							
ნორვეგია	0,788	0,838	0,906	0,932	0,938	0,876	58810
ა შ შ	0,810	0,857	0,873	0,895	0,902	0,799	47094
დანია	0,770	0,797	0,821	0,860	0,866	0,810	36404
პორტუგალია	0,625	0,694	0,745	0,775	0,795	0,700	22105
აპგი-ს მაღალი დონით							
ლიტვა	-	0,709	0,677	0,775	0,873	0,603	14824
ჩილე	0,607	0,675	0,707	0,762	0,783	0,634	13561
რუსეთი	-	0,692	0,644	0,693	0,719	0,636	15252
თურქეთი	0,467	0,552	0,583	0,656	0,679	0,518	13359
აპგი-ს საშუალო დონით							
ტაჯიკეთი	-	-	-	0,642	0,669	0,493	7052
ჩინეთი	0,368	0,460	0,518	0,616	0,663	0,511	7258
მოლდოვა	-	0,616	0,547	0,606	0,673	0,539	4508
კონგო	0,462	0,499	0,469	0,470	0,489	0,334	3258
აპგი-ს დაბალი დონით							
კენია	0,404	0,437	0,435	0,443	0,470	0,320	1628
ბანგლადეში	0,259	0,313	0,350	0,432	0,469	0,331	1587
რუანდა	0,243	0,215	0,193	0,334	0,385	0,243	1190
ზიმბაბვე	0,241	0,284	0,462	0,159	0,140	0,098	176

წყარო: შედგენილია გაეროს გამოცემის ,,მოხსენება ადამიანის განვითარების შესახებ. 2010.'' მონაცემების მიხედვით. გვ 148-154.

* ინდექსი კორექტირებულია დოვლათის განაწილების უთანასწორობის გათვალისწინებით.

ანთა უდიდესი ნაწილი, ჯერ კიდევ მოკლებულია ცხოვრების ნორმალურ პირობებს. განიცდის დიდ სირთულეებს, დაუკმაყოფილებლობას, ტანჯვას.

ამ აზრის საილუსტრაციოდ პირველ რიგში აქ შეიძლება მოვიტანოთ პირადი ცხოვრებით დაკმაყოფილების მონაცემები ქვეყნების ზემოთ განხილული ჯგუფების მიხედვით, რომლებიც აღებულია გაეროს მიერ გამოცემული მოხსენებებიდან (ცხრილი 2). დაკმაყოფილების მაჩვენებლები შეფასებულია სრული დაკმაყოფილების მიმართ, რომელიც შეადგენს 100 ერთეულს).

ცხრილის მონაცემები ასახავს ადამიანთა სუბექტურ აზრს (განცდას) ცხოვრების პირობებით დაკმაყოფილების მხრივ. უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტური შეფასების მონაცემები საკმარისი სიზუსტით არ გამოხატავს კეთილდღეობის არსებულ მდგომარეობას. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დაკმაყოფილების განცდა რიგ ქვეყნებში გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი განვითარების დონის შესაბამისი მაჩვენებლები. ამასთან ცხრილის მონაცემები მაინც საინტერესოა და მიანიშნებს ქვეყნების მკვეთრ განსხვავებაზე კეთილდღეობის დონის მხრივ. როგორც

ცხრილი 2

პირადი ცხოვრებით დაკმაყოფილების მაჩვენებლები მსოფლიოს ქვეყნებში

აპგი მაღალი დონით				
ლიტვა	78	64	33	58
ჩილი	81	73	68	63
რუსეთი	74	56	36	59
თურქეთი	71	76	31	55
აპგი საშუალო დონით				
ტაჯიკეთი	78	75	62	72
ჩინეთი	78	80	60	64
მოლდოვა	68	60	35	. . .
კონგო	60	74	40	. . .
აპგი დაბალი დონით				
კენია	57	70	25	66
ანგოლა	72	67	54	42
უგანდა	41	64	17	41
ზიმბაბვე	49	72	27	28
სხვა ქვეყნები				
კუბა	68	76	. . .	. . .
ერაყი	64	66	41	50
სომალი	. . .	87	73	. . .

წყარო: გაეროს მოხსენება ადამიანის განვითარების სესახებ. 2011. გვ 176-179 (რუს. ენაზე).

ცხრილის მონაცემები ცხადყოფს, საკმაოდ დიდია განსხვავება კეთილდღეობის (დაკმაყოფილების) მაჩვენებლებში განვითარებულსა და საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებს შორის. მრავალჯერადია განსხვავება დაბალ განვითარებულსა და განვითარებად ქვეყნებს შორის.

ამასთან საგულისხმოა, რომ სრული კმაყოფილების დონე არც ერთი ჯგუფის ქვეყნებში არ შეინიშნება, ანუ ყველგან რჩება გარკვეული ზომით დაუკმაყოფილებლობა.

ეს მონაცემები, მიუხედავად მათი გარკვეული, ზემოთ აღნიშნული ხარვეზებისა, მაინც სასარგებლოა მსოფლიოში კეთილდღეობის ანალიზისათვის. ამასთან ამ პრობლემის განხილვა შემდგომ უნდა გაგრძელდეს სხვა მაჩვენებელთა მიხედვითაც.

კერძოდ, აქ შეიძლება განვიხილოთ კეთილდღეობის საწინააღმდეგო მოვლენა-სიღარიბე. იგი შემაშფოთებლად მძვინვარებს დღევანდელ მსოფლიოში. სიღარიბე არსებობს არა მარტო დაბალგანვითარებულ და საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში, არამედ თვით განვითარების მაღალი დონის ქვეყნებშიც, შემოსავლების მეტისმეტად უთანაბრო განაწილების გამო. მაგალითად, ბოლო წლებში საარსებო მინიმუმს ქვევით მცხოვრებთა რიცხვმა აშშ-ს ოჯახებს შორის 12,7% შეადგინა, სლოვენიაში-16,3%, პოლონეთში-14,8% და ა.შ.[1]

სიღარიბე განსაკუთრებით შემაშფოთებელია ე.წ. მესამე სამყაროს ანუ დაბალი განვითარების ქვეყნებში. მოსახლეობამ, რომელიც დღე-ღამეში 1,25 დოლარზე ნაკლები შემოსავლით ცხოვრობს, შეადგინა მთელი მოსახლეობის 16% კოლუმბიაში, 29,4% ინდონეზიაში, 39,0% ეთიოპიაში, 41,6% ინდოთში, 54,1% კონგოში, 49,6% ბანგლადეშში, 67,8% მადაგასკარში, 88,5% ტანზანიაში და ა.შ. მთელ მსოფლიოში დღე-ღამეში 1,25 დოლარი შემოსავლით ცხოვრობს 1,3 მლნ ადამიანი ანუ მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი.[2]

სიღარიბის ეროვნული დონე, ჯერ კიდევ მაღალია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში: ბულგარეთში - 12,8%, ბელორუსში - 17,4%, რუსეთში - 19,6 %, უკრაინაში — 19,5%, აზერბაიჯანში-49,6%, სომხ-

[1] Income. peverty and health Insurance coverage in the U.S.A. 2004 government printing office. Washington D.S. 2005.

[2] ООН . Доклад о развитии человека . 2010 . С. 161 - 169.

ეთში - 50,9%, მოლდავეთში - 48,5%, ყირგიზეთში - 43,3%, ტაჯიკეთში - 53,5% და ა.შ. [3]

სიღარიბის ერთ-ერთი ძირითადი გამოვლინებაა ადამიანთა არასრულფასოვანი კვება (შიმშილი). საგულისხმოა, რომ ეს შეიმჩნევა თვით მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც (ნორვეგია, აშშ, დანია, ლუქსენბურგი და სხვ.), სადაც არასრულასოვნად იკვებება მოსახლეობის 5%-მდე. განვითარებულ ქვეყნებში ეს მაჩვენებელი აღწევს 11-15 და 23 %-საც, საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში ჩვეულებრივ იგი მოსახლეობის დიდ ნაწილს მოიცავს, ხოლო დაბალი განვითარების ქვეყნებში 1/2-დან და 3/4 (კონგოში) აღწევს.[4]

ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ შიმშილისა და კვების არასრულფასოვნების პრობლემა თანამედროვე მსოფლიოში, მიუხედავად ბოლო პერიოდში მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესებისა, მწვავედ დგას.

აქვე შეიძლება კეთილდღეობის შემაფერხებელ გარემოებად განვიხილოთ სათანადო საცხოვრებლით (ბინებით) დაუკმაყოფილებლობა. კეთილმოწყობილ ბინებზე ხელი არ მიუწვდებათ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს თვით მაღალ განვითარებულ და განვითარებულ, რა თქმა უნდა, უფრო მეტად საშუალოდ განვითარებულ ქვეყნებში, ხოლო მდგომარეობა ამ მხრივ მეტისმეტად მძიმეა დაბალი განვითარების ქვეყნებში. მაგალითად, ლიტვაში ეს მაჩვენებელი შეადგენს 20 % -ს, ლატვიაში - 43% -ს, რუმინეთში - 23%-ს, კუბაში - 31%-ს, რუსეთის ფედერაციაში - 24%-ს, სომხეთში - 33%-ს, ჩინეთში - 67%-ს, ზიმბაბვეში - 59%-ს, ლიბანში - 69%-ს, ტაილანდში - 87%-ს და ა.შ.[5]

მსჯელობა შეიძლება გაგრძელდეს სხვა მაჩვენებელთა მიხედვითაც, როგორიცაა სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ხარისხიანი წყლით უზრუნველყოფა, სამედიცინო მომსახურება და სხვ. მაგრამ მსოფლიოში კეთილდღეობის თანამედროვე მდგომარეობის სურათი, ვფიქრობთ, მოტანილი მონაცემებითაც ნათელია. ეს სურათი მეტად მძიმეა. ამიტომ მთელი კაცობრიობის წინაშე უმთავრესი გამოწვევაა სიღარიბის დაძლევა. ამ მიზნით მსოფლიოს სახელმწიფოთა მთავრობების 2000 წლის სამიტზე დასახული იქნა 2015 წლისათვის მსიფლიოში სიღარიბის დაძლევის ამოცანა. ეს ამოცანა ნელ-ნელა სრულდება, თუმცა სასურველი ტემპით არ ხორციელდება.

მოკლედ შევეხებით განვითარების დონისა და კეთილდღეობის მხრივ საქართველოში არსებულ მდგობარეობას. ა პ გ ი-ს დონის მხრივ საქართველო მსოფლიოს ქვეყნებს შორის ბოლო წლებამდე გაეროს კლასიფიკაციით საშუალოდ განვითარებული ქვეყნების რიცხვში იმყოფებოდა, ხოლო ამჟამად განვითარებული ქვეყნების რიცხვში გადავიდა. 2007 წლის 89 ადგილიდან მსოფლიოს ქვეყნებს შორის 2010 წელს საქართველომ გადაინაცვლა 74-ე ადგილზე (იხ. ცხრილი 3).

ცხრილი 3

საქართველოს აპგი-ს დინამიკა და ადგილი მსოფლიოში

	2007	2008	2010
აპგი მნიშვნელობა	0,778	0,679	0,698
ადგილი მსოფლიოში აპგი-ს მიხედვით	89	. . .	74
მ შ პ მსყიდველობითი უნარის პრიტეტით, მლრდ დოლ	21,5	21,4	1,8
მ შ პ მსყიდველობითი უნარის პრიტეტით ერთ მცხოვრებზე, დოლ	4892	4778	49 02

საქართველოს ადგილი განვთარებულ ქვეყნებს შორის ძირითადად განპირობებულია განათლების მაღალი და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შედარებით მაღალი მაჩვენებლით, მაგრამ დაბალია საქართველოს ეკონომიკური განვითარების უმთავრესი მაჩვენებელი — მ შ პ ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით მსყიდველობითი უნარის პრიორიტეტის მიხედვით, რაც 2010 წელს შეადგენდა მხოლოდ 4902 აშშ დოლლარს. ეს უმთავრესად აიხსნება საქართველოში გარდამვალი პერიოდის დასაწყისში ეკონომიკის ნგრევით, უმუშევრობის მეტისმეტად მაღალი დონით (ამჟამადაც ოფიციალური მონაცემებით 16,5%), რაც განსაკუთრებით დიდია რეგიონებში და ქალაქებში. მოსახლეობის კეთილდღეობის დონე საქართველოში მსოფლიოს საშუალო, უდიდესი და უმცირესი მაჩვენებლების მიმართ ჩანს მე-4 ცხრილის მონაცემებითაც.

როგორც ამ ცხრილიდან ირკვევა, ცხოვრებით დაკმაყოფილების (კეთილდღეობის) ინდიკატორები საქართველოში ჯერჯერობით მსოფლიო საშუალო დონეზე დაბალია, ხოლო უდიდეს ინდიკატორებს ჩამორჩება, განსაკუთრებით ცხოვრების დონით (4-ჯერ).

საქართველოს განვითარებისა და კეთილდღეობის დონის მხრივ თუ შევადარებთ მეზობელ ქვეყნებს, შემდეგ სურათს მივიღებთ (ცხრილი 5).

[3] ООН. Доклад о развитии человека. 2010. გვ. 161-163.

[4] იქვე. გვ. 172-175.

[5] იქვე. გვ. 181-183.

ცხრილი 4.

პირადი ცხოვრების დონით დაკმაყოფილების აღქმა საქართველოსა და მსოფლიოში (მაქსიმუმი = 100)

	სამუშაოთი	ჯანმრთელობის მდგომარეობით	ცხოვრებით დონე (კმაყოფილი რესპოდენტების%)	საერთო დაკმაყოფილება 0 - 10
საქართველოში	63	50	22	4,3
ცხოვრების მაღალი დონის მქონე ქვეყნებში	91	82	91	2,2
ცხოვრების საშუალო დონის მქონე ქვეყნებში	68	60	35	6,0
ცხოვრების დაბალი დონის მქონე ქვეყნებში	41	47	27	2,8
საქართველო მსოფლიოს ქვეყნებთან შედარებით, %-ობით				
ცხოვრების მაღალი დონის მქონე ქვეყნებთან შედარებით	69,2	60,1	24,2	53,4
ცხოვრების საშუალო დონის მქონე ქვეყნებთან შედარებით	92,6	83,3	62,9	71,7
ცხოვრების დაბალი დონის მქონე ქვეყნებთან შედარებით	153,7	106,4	129,4	153,8

ცხრილი 5

ეროვნული შემოსავალი, აპგი და ცხოვრებით დაკმაყოფილების (სრული = 100 მიმართ) მაჩვენებლები

ქვეყნები	ეროვნული შემოსავალი, ერთ მცხოვრებზე ამჟ დოლ	აპგი	დაკმაყოფილება სამუშაოთი	დაკმაყოფილება ჯანმრთელობით	ცხოვრების დონით კმაყოფ. რესპოდენტების %	საერთო კმაყოფილება 0-10
საქართველო	4902	0,733	63	50	22	4,3
აზერბაიჯანი	87217	0,713	73	68	42	5,3
სომხეთი	5495	0,695	61	53	31	5,0
თურქეთი	13358	0,679	71	76	44	5,5
ირანი	14764	0,702	71	82	55	5,6
რუსეთი	15259	0,719	74	56	36	5,9
უკრაინა	6535	0,710	71	55	23	5,3
საქართველო (ქვეყნების მაჩვენებელი =100):						
აზერბაიჯანთან	59,6	104,8	86.3	52,4	52,4	81,1
სომხეთთან	89,2	105,5	103.3	71,1	71,1	86,0
თურქეთთან	36,7	107,9	88.7	50,0	50,0	78,2
ირანთან	33,2	104,4	88.7	40,0	40,0	76,9
რუსეთთან	33,1	101,9	85.1	61,1	61,1	72,9
უკრაინასთან	75,0	103,2	88.7	95,7	95,7	81,1

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველომ რამდენადმე გაუსწრო მეზობელ ქვეყნებს ა პ გ ი-ს მაჩვენებლით. ეს ქვეყნის საგანმანათებლო-კულტურული განვითარებისა და სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შედარებით მაღალი ინდიკატორების შედეგია. მაგრამ კეთილდღეობის მაჩვენებლით, რომელშიც მონაწილეობს სუბიექტური ფაქტორი (დაკმაყოფილების შეფასება სუბიექტების მიერ), ასევე მ შ პ სულადობრივი წარმოებით, საქართველო მეზობელ ქვეყნებს ჩამორჩება, რიგ შემთხვევებში საგრძნობლადაც.

ასევე საქართველოს უარესი მაჩვენებლები (2008 წლის მიხედვით) აქვს დასაქმების დონის მხრივ ქვეყანაში უმუშევრობა შეადგენდა 16,54% -ს, მაშინ, როცა იგი აზერბაიჯანში უდრის 6,1%-ს, სომხეთში - 6,3%-ს, თურქეთში - 11%-ს, რუსეთში - 7,0%-ს, და უკრაინაში - 6,4%.[6] მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა შემდეგაც.

სიღარიბის დონის მაჩვენებლით, საქართველო ჩამორჩება აღნიშნულ მეზობელ ქვეყნებს. ეს დონე უდრის საქართველოში 54%-ს, აზერბაიჯანში — 49,6%-ს, სომხეთში — 50,9%-ს, თურქეთში — 27%-ს, რუსეთში

[6] საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული. 2010. გვ.193.

— 19,6%-ს, უკრაინაში - 19,5%-ს.[7] ჯანდაცვის დანახარჯები ერთი მცხოვრებზე 2007 წლის მონაცემებით, მყიდველობითი უნარის პარიტეტის მიხედვით, შეადგენდა საქართველოში 384 დოლარს, სომხეთში – 246-ს, თურქეთში – 677-ს,, ირანში – 689-ს, რუსეთში – 797-ს, უკრაინაში 475 -ს[8].

საქართველოს გარკვეული ჩამორჩენა განვითარების, განსაკუთრებით კეთილდღეობის მაჩვენებლის მხრივ, გამოწვეულია იმით, რომ ბოლო წლებში ქვეყანა წინააგმდეგობებისა და სირთულეების წინაშე აღმოჩნდა, რაც გამოიხატა სამოქალაქო ომით, მეზობელი ქვეყნის აგრესიული ქმედებებით, შიდა პოლიტიკური დაძაბულობებით, ქვეყნის ხელისუფლების არაეფექტიანი პოლიტიკით 20 წლიანი პერიოდის მეტი ნაწილის განმავლობაში.

საქართველოში ამჟამად მიმდინარე აღმშენებლობითი საქმიანობის ინტენსივობა იმედს იძლევა ახლო მომავალში ვივარაუდოთ ქვეყნის ჩამორჩენის დაძლევა და ადამიანთა კეთილდღეობის მკვეთრი ამაღლება.

ჩვენს მიერ ჩატარებული მოკლე ანალიზიდანაც ნათლად გამოჩნდა თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოში ეკონომიკური და სოციალური განვითარების, ხალხთა კეთილდღეობის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. ესაა მნიშვნელოვანი მიღწევები საერთოდ და ჩამორჩენა ქვეყნების უდიდეს უმრავლესობაში. განსაკუთრებით მაღალი შედეგებია მიღწეული ეკონომიკურად მოწინავე ქვეყნების მცირე ჯგუფში. ამასთან არსებობს ქვეყნებს შორის მკვეთრი, სრულიად გაუმართლებელი განსხვავება განვითარებისა და ადამიანთა კეთილღეობის მხრივ, რაც ქმნის წინააღმდეგობათა მძლავრ კერას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში ადამიანთა საერთო განვითარების დონე, ასევე საბაზრო ეკონომიკის მექანიზმი ვერ უზრუნველჰყოფს საყოველთაო კეთილდღეობას, შექმნილი დოვლათის (სიკეთეა) სამართლიან განაწილებას. ეს აღრმავებს ადამიანებსა და ხალხებს შორის უთანასწორობას მსოფლიოში.

მომავალი პერიოდის უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა განვითარების ხასიათის შეცვლა, ეკნომიკური და სოციალური თვალსაზრისით ჩამორჩენილი ქვეყნების დაწინაურება, რის გარეშე თანამედროვე ცივილიზაციას საფრთხე ემუქრება. საქართველოს კი აქვს შანსი და ყველა შესაძლებლობა, ჩადგეს მოწინავე ქვეყნების რიგებში და ეს აუცილებლად უნდა მოხდეს კიდეც ახლო მომავალში.

Развитие и благосостояние

Развитие является важнейшим процессом в жизни общества. Оно имеет целью повышение благосостояния людей. Развитие и благосостояние взаимо связаны.

В современном мире в целом достигнут значительный уровень развития и благосостояния. Однако, наряду с этим, наблюдается большая дифференциация стран и народов по уровню благосостояния. В большинстве странах имеют место высокие показатели бедности, недоедания, необеспеченности людей основными условиями жизни.

Грузия по развитию и благосостоянию , по дпнным ООН , находится в настоящее время в рядах стран, имеющих высокий показатель индекса развития потенциала человека. Однако, при этом, по ряду индикаторам развития и благосостояния она уступает высокоразвитым и соседным странам. Важнейшим вызовом перед страной является в кратчайшие сроки преодлеть имеющее отставание в экономическом и социальном развитии от желаемого и возможного уровня, резкого повысить благосостояние народа. Этот вызов эще более остро стоит перед всем миром .

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰ. კიუნგი. მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისათვის და მსოფლიო ეკონომიკისათვის. თარგმანი გერმ. თბ., 1998.
2. გ. მალაშხია . მეტაეკონომიკა -ეკნომიკის ფილოსოფია. თბ., 1995.
3. ნ. ჭითანავა, ე. თაკალანძე. სოციალური ეკონომიკა. თბ., 2008.
4. Дю. Белл. О Грядущем постиндустриальном обществе. Перевод с англ. М., 1999
5. Т. Веблен. Теория праздного класса. Перевод с англ. М., 1984.
6. Г. Малашхия.Экономика человечная. Санкт-Петербург- Тбилиси. 2009.
7. ООН. Доклад о развитии Человека. 2010. М., 2010.
8. А. Пигу. Теория Благосостояния. Перевод с англ. М., 1985;
9. Тоффлер. Шок будущего. Перевд с англ. М. 2008
10. Э. Фромм. Иметь или быть. Перевод с англ. М., 1991.

[7] გაეროს ზემოთ ხსენებული მოხსენება. გვ. 161.

[8] იქვე, გვ. 198.